აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლების ცხოვრებით კმაყოფილებასთან დაკავშირებული ფაქტორები

ნინო ბარდაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

ნინო ბარდაძე

19.01.2018.

აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავდა გაერკვია, არის თუ არა ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლებში უფრო მცირე ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან შედარებით და გამკლავების ადაპტური სტრატეგიები წარმოადგენს თუ არა ცხოვრებით კმაყოფილების პრედიქტორს. კვლევისთვის შეირჩა 40 ტიპური განვითარების და 40 აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვის მშობელი, რომლებმაც გამკლავების მექანიზმების და ცხოვრებით კმაყოფილების კითხვარები შეავსეს. შედეგებმა აჩვენა, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლებს მნიშვნელოვნად დაბალი ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი ჰქონდათ ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლებთან შედარებით, ხოლო გამკლავების ადაპტური სტრატეგიები წარმოადგენს მშობლების ცხოვრებით კმაყოფილების პრედიქტორს. შედეგად გამკლავების ადაპტური სტრატეგიების გამოყენება მშობლებში ცხოვრებით კმაყოფილების პრედიქტორია. კვლევა ხაზს უსვამს მშობლისთვის ისეთი სერვისების შექმნის საჭიროებას, რომლებიც მშობლებში ადაპტური გამკლავების სტრატეგიების გამოყენებას შეუწყობს ხელს, რაც გააუმჯობესებს მშობლების ცხოვრებით კმაყოფილებას.

თემატური საძიებო სიტყვები: ცხოვრებით კმაყოფილება, მშობლები, აუტიზმის სპექტრის აშლილობა, დაძლევის სტრატეგიები.

Abstract

Objectives of this study were to find out whether the life satisfaction was lower in parents of children with ASD compared to parents of typically developing children and to understand the role of adaptive coping strategies as predictors of life satisfaction. 40 parents of typically developing children and 40 parents of children with ASD filled questionnaires on life satisfaction and coping strategies. Parents of children with ASD scored significantly lower on life satisfaction scale compared to parents of typically developing children and adaptive coping was the variable that best explained the level of life satisfaction in parents. As a result, adaptive coping is the predictor of life satisfaction in parents. The study underlines the necessity of services for parents, which will promote using adaptive coping strategies to improve life satisfaction in parents.

key Words: Life satisfaction, Parents, ASD, Coping strategies.

მადლობა

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს თინათინ ჭინჭარაულს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარების, ყურადღებისა და გამოჩენილი მოთმინებისთვის.

ასევე, დიდ მადლობას ვუხდი:

ჩემს მეგობარს და კოლეგას, თამარ გეგეჭკორს. ვინც მიბიძგა, რომ არ გავჩერებულიყავი და სამაგისტრო ნაშრომი ამ წელს დამეწერა.

ჩემს ლექტორს ნინო სხირტლაძეს და ჩემს კოლეგას ნინო ბუწაშვილს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.